ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 19 (2062) 12 მაისი, კვირა, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

# უკვდავია საბჭოთა ხალხის გმირობა!



## მშვიდობა დავიცავით — მშვიდობას დავიცავთ

### გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავი პარადი მოსკოვში

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა პარადი, რომელიც 9 მაისს გაიმართა მოსკოვში.

წითელ მოედანზე საპარადო ჯგუფეულების კვადრატები გარინდულან. მართლაც რომ ღრმად სიმბოლურია: სამშობლოს დამცველთა ახალგაზრდა თაობასთან ერთად მწყობრში დგანან ისინი, ვინც გამარჯვება მოგვიპოვა, ვისაც დღეს ვეტერანებს ვუწოდებთ.

„ვაშას" შეძახილებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, გ. ვ. რომანოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. პ. ნიკონოვი, კ. ვ. რუსაკოვი.

აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

საზეიმოდ ჟღერს სამხედრო ორკესტრის ჰანგები. ისტორიის კუთვნილება ხდება წითელი მოედნის კიდევ ერთი ალბომი. ეს განსაკუთრებული პარადია: მას ნათელი დაადგა ომით შეტრუსულმა გამარჯვების დროშამ და დღეს, როდესაც ამ დროშის ერთგულებას ვიფიცავთ, ჩვენ ვოცნებობთ სხვა გამარჯვებებზე, მშვიდობიანი ბრძოლის ველზე სიცოცხლის, მომავლისათვის მოპოვებულ გამარჯვებებზე, რომლებიც უმაქნისს გახდიან იარაღს და სამუდამოდ აღკვეთენ ომს.

(საკდესის კორ.).

## დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთან არის

### რეპორტაჟი თბილისში გამართული გამარჯვების სახალხო დღესასწაულიდან

დიდი ლენინის სახელით გადადიოდნენ შეტევაზე დიდი სამამულო ომის მებრძოლები, ლენინის დროშით კომუნისტურმა პარტიამ ჩვენს ხალხს გაამარჯვებინა ფაშისტურ გერმანიაზე. 9 მაისს ვ. ი. ლენინის ძეგლთან დაიწყო დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

აქ მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ომის ვეტერანები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერლები და ოფიცრები.

სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ძეგლის კვარცხლბეკის წითელ გრანიტს ამკობენ გვირგვინები.

ცერემონია მთავრდება საპატიო ყარაულის ასეულის საზეიმო მარშით.

პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ომის ვეტერანებმა გამარჯვების პარკში გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიებში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. მ. არხიპოვი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჰითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სარდლობის წარმომადგენლები.

## დიდი გამარჯვების აღსანიშნავად

არასოდეს არ დაიბინდება მხედრული და შრომითი გმირობა საბჭოთა ადამიანებისა, რომლებმაც ფაშისტებისაგან დაიცვეს სოციალისტური სამშობლო, მონობისაგან იხსნეს ევროპის ხალხები.

მრავალი ომისა და შრომის ვეტერანი შეიკრიბა 7 მაისს გამარჯვების პარკში, სადაც გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. შემდეგ ზეიმის მონაწილენი შეიკრიბნენ ფ. ი. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში, რათა მონაწილეობა მიეღოთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, რომელიც მოაწყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ.

შეხვედრის გახსნისას საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა გ. ი. გვეტაძემ გულთბილად მიულოცა ვეტერანებს დიდი დღესასწაული, ხაზი გაუსვა, რომ პარტიას, სახელმწიფოს მუდამ ახსოვთ და ეხსომებათ მათი სახელოვანი საქმენი, მათი წვლილი მტერზე გამარჯვებაში.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ა. ზ. ანქვაბი.

— საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისათვის, — თქვა მან, — შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიდან მრავალი მეომარი ვეტერანი მოვიდა იმ ამაყი შეგნებით, რომ წილნაყარია სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გმირობასთან, ომისშემდგომი მშენებლობის მიღწევებთან, მებრძოლი ამხანაგების ხსოვნის წინაშე მოვალეობის უდიდესი გრძნობით.

უდავოა, ომის ბედი უწინარეს ყოვლისა წყდებოდა ბრძოლის ველზე იარაღის ძალით, მაგრამ მთავარია, ვის ხელში იყო იარაღი. საბოლოო ანგარიშში გაიმარჯვეს სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინის დროშისადმი საბჭოთა ადამიანების ერთგულებამ, ხალხთა ძმურმა მეგობრობამ, რომლითაც დღესაც ძლიერნი ვართ.

დღეს არ შეგვიძლია აუღელვებლად გავიხსენოთ ის წლები. ისინი გახდა მკაცრი გამოცდა მთელი ჩვენი ხალხისათვის, მათ შორის საბჭოთა ქალებმა მამაკაცებთან თანაბრად გაუძლეს ამ გამოცდას. ომის შემდეგ მათ თავიანთი გამოცდილება ძალა და ენერგია დაუზოგავად გამოიყენეს მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

გამოსვლის დასასრულს მან ვეტერანებს უსურვა ჯანმრთელობა და წარმატებული მუშაობა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ღვაწლმოსილ ვეტერანებს კომუნისტების სახელით მიესალმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი ე. პ. სამხარაძე, რომელმაც აღნიშნა ის დიდი ღვაწლი, რაც ქართველმა კომუნისტებმა შეიტანეს გამარჯვების საყოველთაო საქმეში.

— დღესაც, ძვირფასო ამხანაგებო, ვეტერანებო,—აღნიშნა მან—პარტია დიდ იმედს ამყარებს თქვენზე, თქვენს ცოდნაზე, გამოცდილებაზე, მაღალ ავტორიტეტზე სოციალიზმის დიდი საქმისადმი — იმ საქმისადმი ერთგულებაზე, რომელიც დაიცავით დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გამართულ ბრძოლებში.

ცხადია, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიულ ორგანიზაციებს, თითოეულ კომუნისტს და უწინარეს ყოვლისა, კომუნისტ ხელმძღვანელს, ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის.

ახალგაზრდების სახელით დიდი სამამულო ომის ვეტერანებს მიესალმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ო. დადიანი. მან აღნიშნა:

— დიდია ის წვლილი, რომელიც ომის დროინდელ ახალგაზრდობამ შეიტანა ჩვენი გამარჯვების საქმეში.

დღეს ვეტერანები ბრძანდებით. თქვენი მუდმივი საზრუნავია საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის და უწინარეს ყოვლისა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოსული ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი წრთობა. ვეტერანების ფასდაუდებელი გამოცდილება, თქვენი სახელოვანი ტრადიციები საბჭოთა ადამიანების ახალ თაობებს უნდა გადმოგვცეთ. ეს, თუ დიდი პოლიტიკის თვალსაზრისით ვიტყვით, ომისა და ზურგის ვეტერანთა მთავარი მოქალაქეობივი ვალია.

ომის ვეტერანთა სახელით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას შეუნელებელი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, ომის ვეტერანების პატივისცემისათვის დიდი მადლობა გადაუხადა სამედიცინო განყოფილების უფროსმა, შ/ს პოლკოვნიკმა ნ. ვ. ბარნოვმა. მან აღნიშნა, რომ ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ჩვ სამინისტროს ვეტერანები მჭიდროდ არიან დარაზმული ლენინური პარტიის გარშემო, დიდ ძალღონესა და ენერგიას ახმარენ საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს, იძლევიან შრომითი მამაცობის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის მაგალითს.

ყველა ჯურის მილიტარისტები და რევანშისტები კაცობრიობას ახალი უბედურებით ემუქრებიან, მაგრამ მათი წამქეზებლური ხრიკები ჩასაფუშავად არის განწირული; ვეტერანები, კვლავაც იქნებიან მშვიდობისა და სოციალისტური პროგრესისათვის, მშრომელი ადამიანების ბედნიერებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი.

დასასრულს, იუბილესთან დაკავშირებით ომის ვეტერანები დაჯილდოვდნენ ორდენებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

საღამომ გულთბილ, საზეიმო ვითარებაში ჩაიარა.

ტ. ხაბულიანი.

სურათზე: უცნობი ჯარისკაცის საფლავთან; ომის ვეტერანები საზეიმო შეხვედრაზე ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში. სამახსოვრო ავტოგრაფი.

ს. სიჩოვის ფოტო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

# ᲘᲡᲛᲔᲜᲔᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ, ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐᲡ

**ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ** დროს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტის აქტიურობის შემდგომი ამაღლებისათვის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის დიდი აღმავლობით მიმდინარეობს კომუნისტების ანგარიშის მოსმენა და მათი პარტიული დახასიათების დამტკიცება. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევა შინაგან საქმეთა ქ. ცხინვალის საქალაქო განყოფილების პარტიული ორგანიზაცია. აქ სისტემატურად იხილავენ კომუნისტების ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და ამტკიცებენ მათ პარტიულ დახასიათებებს.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში გამართული ღია პარტიული კრება, რომელმაც განიხილა სისხლის სამართლის სამძებრო ჯგუფის უფროსი ოპერრწმუნებულის, მილიციის მაიორის, კომუნისტ რ. ხუბულოვის თვითანგარიში.

კომუნისტმა რ. ხუბულოვმა კრებას მოახსენა, რომ 1983 წლიდან მუშაობს ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებრო ჯგუფის უფროს ოპერრწმუნებულად. იგი ამ მიმართულებით გარკვეულ მუშაობას ეწევა. დანაშაულის აღკვეთის მიზნით ხშირად საუბრობს შრომით კოლექტივებთან, რაზმავს მათ ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ იგრძნობა გარკვეული წინსვლა. 1984 წელში 1983 წელთან შედარებით სისხლის სამძებრო ხაზით შემცირებულია დანაშაული, მათ შორის შედარებით მძიმე დანაშაული. ასევე შემცირებულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული.

კომუნისტ რ. ხუბულოვის პარტიული დახასიათების პროექტი კრებას გააცნო უბნის ინსპექტორმა, მილიციის ლეიტენანტმა, კომუნისტმა ა. კოჩიევმა.

დახასიათების პროექტში აღნიშნულია, რომ კომუნისტი რ. ხუბულოვი დაბადებულია 1949 წელს, სკკპ წევრია 1973 წლიდან, უმაღლესი განათლებით, შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს 1974 წლიდან. შინაგან საქმეთა ორგანოებში მოსვლამდე მუშაობდა ცხინვალის რაიონის სოფელ ბიყარში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებრო ჯგუფის უფროსად დანიშვნამდე ცხინვალის რაიონში ჯერ ოპერრწმუნებულად და შემდეგ კი უფროს ოპერრწმუნებულად. იგი შრომისმოყვარეა, შემსრულებელი, აქტიურად იბრძვის ქალაქში სანიმუშო წესრიგისათვის, სარგებლობს კარგი ავტორიტეტით, კარგად მუშაობს აქტივთან. სწორედ ამგვარი ნაყოფიერი მუშაობისათვის კომუნისტი რ. ხუბულოვი 1981 წელს მიჩნეულ იქნა რესპუბლიკის საუკეთესო ჩეკისტად, ხოლო 1984 წელს ჩვენი ოლქის საუკეთესო ჩეკისტად.

კრებამ კომუნისტ რ. ხუბულოვის დახასიათება დამაკმაყოფილებლად შეაფასა. ამასთანავე მიეთითა, რომ გაითვალისწინოს კრებაზე გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა და ყოველი ღონე იხმაროს მათი გამოსწორებისათვის, რათა მისი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი და სხვა კომუნისტებისათვის სამაგალითო გახდეს.

**ლ. ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**

**ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებასთან არსებული მიმღებ-განმანაწილებლის უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.**

КАДРЫ: ПОДБОР, ОБУЧЕНИЕ, ВОСПИТАНИЕ

# Растет достойная смена

**Новым проявлением заботы партии и правительства об укреплении кадров МВД стало направление на службу в органы внутренних дел большого пополнения из числа коммунистов и членов ВЛКСМ, представителей трудовых коллективов. Вчерашние рабочие, служащие, демобилизованные воины Советской Армии, по зову сердца встали на охрану общественного порядка.**

**О том, как идет отбор кандидатов на службу в органы внутренних дел, как их встречают в милицейском коллективе, как идет их профессиональное становление рассказывает заместитель начальника Гардабанского РОВД по политчасти капитан милиции Захарий Абрамович МЕСХИШВИЛИ.**

● ●

— Все поступающие к нам на службу в органы внутренних дел проходят комиссию, которая действует при РК КП Грузии. В состав комиссии входят представители районного комитета партии, комсомола, милиции. Руководит ею второй секретарь Гардабанского РК КП Грузии З. Маргвелашвили.

Комиссия проводит тщательный отбор кандидатов на службу в органы внутренних дел.

Постоянно действующая комиссия по подбору кандидатов создана также в РОВД. Возглавляет комиссию начальник РОВД подполковник милиции А. Гушарашвили. Руководящие работники райотдела закреплены за предприятиями и организациями района, проводят встречи, беседы с руководителями предприятий, с молодыми работниками.

Хорошими наставниками молодежи являются старшина милиции Салех Аббасов, более 12 лет отдавший охране общественного порядка, милиционер ОВО Кизим Рагимов и многие другие. Эти люди взяли на себя почетную миссию — растить достойную смену, сделать их мастерами своего дела.

За последнее время к нам в органы внутренних дел по направлению РК КП Грузии пришли передовики производства. Расим Мусаев 9 месяцев назад влился в наш коллектив. Пришел по рекомендации РК КП Грузии из Капанахчинского совхоза и несмотря на небольшой период работы, он освоил тайны милицейской службы. Олег Коркотадзе — бывший секретарь комитета комсомола Сартичальского животноводческого совхоза уже более года работает инспектором по делам несовершеннолетних. По направлению районного комитета партии к нам пришли также Р. Караханов—бывший второй секретарь Гардабанского РК ЛКСМ Грузии. Теперь он возглавляет инспекцию по делам несовершеннолетних. А. Цхакая — бывший инструктор РК КП Грузии ныне возглавляет службу БХСС и многие другие.

Работа в органах внутренних дел — это не только благородный труд по охране общественного порядка и борьбы с преступностью, это — постоянная учеба.

Поэтому долг кадровых аппаратов, руководителей служб, органов и подразделений внутренних дел постоянно проявлять неослабную заботу об организации учебы с личным составом, учитывать особенности каждой службы и широко внедрять проверенный на практике опыт передовых коллективов.

**Беседу записала**
**А. СААКАДЗЕ.**

# ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲘ** საუკუნის ისტორია აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა, ნებაყოფლობით სახალხო რაზმელთა მუშაობას. სახალხო რაზმელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში, სოციალისტური საკუთრების დაცვაში, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკაში, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბრაკონიერობის აღკვეთა-აცილებაში და სხვა. ეს არის საკმაოდ ორგანიზებული საზოგადოებრივი ძალა, რომელიც უნარიანად ართმევს თავს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

რესპუბლიკის ქალაქებში, სადაც მოქმედებენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქვედანაყოფები, სახალხო რაზმელები დიდ სამსახურს ეწევიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებთან ერთად. ამგვარი ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ნებაყოფლობით სახალხო რაზმელებსა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებს. ამჟამად ორჯონიკიძის რაიონის სახალხო რაზმეულის შტაბში 213 სახალხო რაზმელია, რომელიც აერთიანებს 5446 ათასზე მეტ რაზმელს — შრომითი კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლებს, რომელთა შორის არიან დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შტაბის მეთაური, მილიციის მაიორი შ. ჩიქობავა და რაიონული სახალხო რაზმეულთა შტაბის მდივანი გ. გვეხეტაძე წინა წლებთან შედარებით კმაყოფილნი არიან წლევანდელი ოთხი თვის მანძილზე სახალხო რაზმელთა მუშაობით. მიმდინარე წელს შტაბის მიერ გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებანი დანაშაულის აღკვეთა-აცილების, დანაშაულის პროფილაქტიკის, რაიონის ტერიტორიაზე სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში. ყოველდღიურად დისლოკაციით გათვალისწინებულ 6 საგუშაგოზე, საგუშაგო-საპატრულო სამსახურის მუშაკებთან ერთად მორიგეობდა 15-18 სახალხო რაზმელი. იქ, სადაც ერთი მილიციელი ეწეოდა სამსახურს, მათთან ერთად ორი სახალხო რაზმელი იყო. ე. ი. თითო მილიციელზე ორი რაზმელი იყო მიმაგრებული. სახალხო რაზმელებისა და საგუშაგო-საპატრულო სამსახურის მუშაკების დაწყვილებამ კარგი შედეგი გამოიღო. იგრძნობა რაიონის ტერიტორიაზე სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, იქ, სადაც ერთობლივად მორიგეობდნენ სახალხო რაზმელები და მილიციელები, დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. მთელი რიგი ორგანიზაციების ხელმძღვანელები კეთილსინდისიერად მოეკიდნენ სახალხო რაზმელების სამორიგეოდ გამოყვანის საკითხს. ხელმძღვანელები, პარტბიუროს მდივნები თვითონ უდგანან სათავეში, მოჰყავთ სამორიგეოდ რაზმელები და თვითონვე უწევენ კონტროლს თავიანთი რაზმელების მორიგეობას. ასეთებს ეკუთვნიან: გაერთიანება „ელვა", მრავალდარგოვანი საწარმოო გაერთიანება „ვნიიტმე", კიბერნეტიკის ინსტიტუტი, ფიზიკის ინსტიტუტი და სხვ.

სახალხო რაზმელთა დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად და თავდადებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ბევრმა მათგანმა სახელი გაითქვა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. უთუოდ მადლობის ღირსნი არიან ის ადამიანები, რომლებიც სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ პირად დროს ახმარენ საბჭოთა მოქალაქეების სიმშვიდის უზრუნველყოფას, უქმნიან მას ნორმალური შრომისა და დასვენების პირობებს. მათი უშუალო ინიციატივით თავიდანაა აცილებული მრავალი სამართალდარღვევა გახსნილია სისხლის სამართლის დანაშაულობანი და სხვა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ფიზიკის და იზოტოპების ინსტიტუტების თანამშრომლები რ. სალუქვაძე, ლ. ბარნოვი, გ. კვიჟინაძე, ზ. ჯობაძე, ა. ვარდოსანიძე, ზ. მჭედლიშვილი, ვ. კამკამიძე, ს. მელტონიანი და სხვები.

ამის მიუხედავად, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შტაბში შეიმჩნევა ხარვეზებიც. მოწინავეთა გვერდით არიან ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სახალხო რაზმელების სამორიგეოდ გამოცხადების საკითხს. ადგილი აქვს მორიგეობის ჩაშლას. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს ეკუთვნიან: რაიონის სატელეფონო კვანძი, გაერთიანება „სოლანი", „საჰკვებმრეწვი" და სხვები.

**ლ. ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲫᲔ.**

# НАША СИЛА—В СВЯЗИ С МАССАМИ

Более 15 лет работает в органах внутренних дел Гамбар Искандерович Байрамов. За годы работы Г. Байрамов прошел все ступени милицейской службы: начинал рядовым милиционером, был и инспектором-дежурным, участковым инспектором, инспектором ОУР. А с марта 1984 года он—старший участковый инспектор Гардабанского РОВД. Хорошее знание оперативной обстановки на участке, лиц, ранее судимых не раз помогали ему в раскрытии преступлений. За активную работу в обеспечении образцового общественного порядка капитан милиции Г. Байрамов не раз поощрялся руководством райотдела. В послужном списке старшего участкового инспектора Г. Байрамова медали «За безупречную службу» III и II степеней, многочисленные почетные грамоты и благодарности.



НА СНИМКЕ: старший участковый инспектор Гардабанского РОВД капитан милиции Г. Байрамов проводит инструктаж с дружинниками.

Текст и фото **А. БЕРИДЗЕ.**

ВСЕГДА НА ПОСТУ

# ДРУЖИННИК ВЫХОДИТ В ГОРОД

Каждый вечер на охрану общественного порядка вместе с сотрудниками милиции выходят их добровольные помощники — люди с красной повязкой на рукаве — народные дружинники.

Несколько тысяч добровольных помощников — хорошее подспорье для сотрудников Сухумского ГОВД. С хорошей стороны зарекомендовали себя добровольные формирования кожобувного комбината, Абхазского государственного университета, завода газовой аппаратуры, Плавстроймонтажотряда № 9 и некоторых других коллективов. Их дружины выходят в город регулярно, здесь не бывает пропусков дежурств. Личный состав, как правило, хорошо проинструктирован, подтянут и аккуратен, знает обстановку в микрорайоне. Эти бойцы-добровольцы всегда на посту, всегда в боевой готовности.

Усилил работу по взаимодействию с дружинниками городской отдел внутренних дел. Из числа наиболее подготовленных и хорошо зарекомендовавших себя дружинников создаются специализированные дружины по борьбе с преступлениями по линии уголовного розыска, нарушениями правил дорожного движения, хищениями социалистической собственности, пьянством, преступностью среди несовершеннолетних.

Работа дружин ряда предприятий неоднократно рассматривалась на заседаниях исполкома горсовета. В практику вошли проверки выхода дружинников на дежурства, поощрение лучших из них. Мы стремились обеспечить дальнейшее расширение участия трудящихся в охране общественного порядка и социалистической собственности. Для этого был разработан и ныне выполняется четкий график выхода на дежурства всех городских дружин.

В городе была поддержана инициатива МВД Грузинской ССР о создании в республике специальных дружин для спаренного дежурства с нарядами патрульно-постовой службы. Внедряется накопленный в этом деле передовой опыт Московской области.

Но несмотря на имеющие место позитивные сдвиги в работе дружин и немало недостатков. Городским штабом ДНД разработан план дополнительных мероприятий по улучшению их деятельности. Особое внимание уделяется в нем обеспечению правопорядка в период курортного сезона.

Задачи перед нами стоят большие и ответственные, и решать их мы должны на уровне требований, предъявляемых партией к соблюдению социалистической законности и правопорядка.

**И. КОНСТАНТИНИДИ,**

**заместитель председателя исполкома Сухумского городского Совета народных депутатов, начальник городского штаба добровольных народных дружин.**

# სიცრუე მეორე მსოფლიო ომის შესახებ

სინამდვილეში, ჰიტლერი იყო ომის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. სრული პასუხისმგებლობა ომის გაჩაღებაში ეკისრებათ აგრეთვე ფინანსების, ეკონომიკისა და ვერმახტის „ფიურერებს“. ვ. ი. ლენინი პირველი მსოფლიო ომის მიზეზების შესახებ წერდა: „ომის ატეხვაში ცალკეულ პირთა გამტყუნება არ შეიძლება... იგი კაპიტალმა წარმოშვა“, ეს სიტყვები სავსებით სამართლიანია მეორე მსოფლიო ომის მიმართაც.

საბჭოთა ისტორიკოსებმა არა მარტო აღნიშნეს ნაცისტური ლიდერების დანაშაული, არამედ გამოააშკარავეს მათი კანონზომიერი კავშირი გერმანიის იმპერიალიზმთან.

ზოგიერთ ავტორებს ომის მიზეზად მიაჩნიათ რუმინეთისა და პოლონეთის მაშინდელი პოზიცია, ამ ქვეყნების მიერ 1939 წ. სსრ კავშირთან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა რამაც, ფალსიფიკატორების აზრით, ჩაშალა ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის გეგმა. ამგვარი მტკიცების უსუსურობაში იოლად დავრწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პოლონეთისა და რუმინეთის პოზიციას მაშინ ლონდონსა და პარიზში განსაზღვრავდნენ.

ყველა დასაშვებ ზღვარს გადააბიჯეს იმ ბურჟუაზიულმა ცილისმწამებლებმა რომლებიც ომის წარმოშობაში სსრ კავშირს ადანაშაულებენ. ამ აშკარა სიცრუის „დასამტკიცებლად“ დასავლეთში ყოველნაირად ამახინჯებენ 1939 წ. 23 აგვისტოს გერმანიასთან დადებული პაქტის მნიშვნელობას. ისინი, რა თქმა უნდა, დუმილით უვლიან გვერდს პაქტის წინაისტორიას, იმას, თუ როგორ ჩაშალეს ინგლისისა და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა სსრკ-ს მიერ ჯერ კიდევ 1933 წ. წამოყენებული გეგმა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ. სწორედ ამან აიძულა ჩვენი ქვეყანა მიეღო გერმანიის წინადადება, რათა თავიდან აეცილებინა ერთიანი იმპერიალისტური, ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა და მიეღწია ხანმოკლე შესვენებისათვის მომავალი, მოახლოებული ომისათვის უკეთ მოსამზადებლად.

თავიდან ბოლომდე ყალბია, ე. წ. „ტოტალიტარიზმის“ დოქტრინა რომელიც ომის გაჩაღებაში თანაბრად ადანაშაულებს ფაშიზმსა და სოციალიზმს — „ტოტალიტარულ დიქტატურებს“. ეს ყბადაღებული დოქტრინა, რომელიც აიგივებს თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კლასობრივი ხასიათით ორ ურთიერთ საწინააღმდეგო სახელმწიფო წყობილებას, მოკლებულია ელემენტალურ ლოგიკას, მაგრამ მას ბევრი მომხრე ჰყავს დასავლეთში.

გფრ-ში ფართო ხმარებაშია ლეგენდა „პრევენტიული ომის“ შესახებ, რომლის თანახმად გერმანიამ მხოლოდ დაასწრო სსრკ-ს, რომელიც თითქოს მასზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. ჰებელსური პროპაგანდის ამ მონაჭორს რომელიც ძალზე ეხმიანება მითს „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, 1941 წ. 22 ივნისიდან დღემდე იყენებენ რეაქციული ისტორიკოსები.

ამრიგად, ბურჟუაზიული ისტორიკოსების აზროვნების კლასობრივი შეზღუდულობა ხელს უშლის მათ სწორად გაიგონ ომის წარმოშობის ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების მთელი ერთობლიობა, აღიარონ მისი იმპერიალისტური ხასიათი.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია უზომოდ აზვიადებს მოკავშირეების, პირველ რიგში აშშ-ს როლს გამარჯვების მიღწევაში. ტიპიურია ამ მხრივ გ. სმიტის მსჯელობა, რომელმაც „გამოიკვლია“ და „დაადგინა“, რომ აშშ-ში სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას... განდევნეს ჰიტლერი დასავლეთიდან.. დაამარცხეს იაპონია წყნარ ოკეანეზე... შეაიარაღეს ინგლისი, რუსეთი და ჩინეთი... შექმნეს დიდი კოალიცია, საფუძველი ჩაუყარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“. ფალსიფიკატორები სსრკ-გერმანიის ფრონტს განიხილავენ როგორც მეორეხარისხოვანს, ამცირებენ აქ გამართული გრანდიოზული ბრძოლების (მოსკოვთან, სტალინგრადთან, კურსკის შვერილზე და სხვა) გადამწყვეტ მნიშვნელობას მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. სამაგიეროდ ყველანაირად ადიდებენ და „გარდატეხის პუნქტებს“ უწოდებენ სამხედრო თვალსაზრისით მოკავშირეების უმნიშვნელო საბრძოლო ოპერაციებს წყნარ ოკეანეში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვაში და ეს კეთდება მაშინ, როცა ინგლის-ამერიკის მიერ 1941-1942 წ.წ. ჩატარებული ყველა ბრძოლა ერთად აღებული თავისი მასშტაბითა და სამხედრო-პოლიტიკური შედეგებით აშკარად ჩამოუვარდება მარტო სტალინგრადის ეპოპეას.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფ. რუზველტის სიტყვები, ორჯერ განმეორებული 1942 წ. აპრილ-მაისში: „რუსები ხოცავენ მოწინააღმდეგის მეტ ჯარისკაცს, ანადგურებენ მეტ შეიარაღებასა და აღჭურვილობას, ვიდრე გაერთიანებული ერების ყველა სხვა 25 სახელმწიფო ერთად აღებული“.

სსრ კავშირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფაქტიურად მარტო ებრძოდა ფაშისტებს. მეორე ფრონტი ევროპაში, რომლის იდეა პირველად ი. ბ. სტალინმა 1941 წლის 18 ივლისს წამოაყენა, მოკავშირეებმა გახსნეს მხოლოდ 1944 წლის 6 ივნისს. ამ წლების განმავლობაში ჩვენი ჯარები სსრ კავშირ-გერმანიის ფრონტზე გამუდმებით ებრძოდა მტრის 153-დან 201-მდე დივიზიას, ხოლო ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა გერმანიის 2-დან 21 დივიზიამდე.

ვითარება ძირეულად არ შეცვლილა მეორე ფრონტის გახსნის შემდეგაც, როგორც ამას ფალსიფიკატორები ამტკიცებენ. იმ პერიოდში სსრკ-ს წინააღმდეგ გერმანიის 239 დივიზია მოქმედებდა, ხოლო მოკავშირეების წინააღმდეგ კი — მარტო 82. ამრიგად, მთელი ომის განმავლობაში სსრკ-გერმანიის ფრონტზე იმყოფებოდა ფაშისტური ჯარების უმრავლესი ნაწილი და 1941-1945 წ.წ. იგი რჩებოდა მეორე მსოფლიო ომის ძირითად ფრონტად.

იმისათვის, რომ ობიექტურად შევაფასოთ ამა თუ იმ სახელმწიფოს როლი გამარჯვებაში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი შეიარაღებული ძალების მოქმედების რეალური შედეგები, მოწინააღმდეგისადმი მიყენებული პოლიტიკური, მორალური, ეკონომიკური და სამხედრო ზარალი: წითელმა არმიამ გაანადგურა 606,5 ფაშისტური დივიზია, ინგლის-ამერიკის ჯარებმა — მხოლოდ 176. მეორე მსოფლიო ომში გერმანიამ სულ 100 ათასამდე თვითმფრინავი დაკარგა, აქედან 77 ათასი მოდის აღმოსავლეთის ფრონტზე. აქ დაიღუპა მოწინააღმდეგის 10 მლნ. ჯარისკაცი და ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომის სხვა ფრონტზე კი — 3,6 მლნ.

ომმა 20 მლნ. საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ეროვნული სიმდიდრის ერთი მესამედი. აშშ-ს დანაკარგებმა კი შეადგინეს 405 ათასი კაცი. რაც შეეხება ეროვნულ სიმდიდრეს, იგი კიდევ უფრო გაიზარდა ამერიკაში. მარტო მონოპოლიების მოგებამ შეადგინა ასტრონომიული თანხა — 57 მილიარდი დოლარი.

ნათქვამიდან გამომდინარეობს ერთადერთი სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ არა ინგლის-ამერიკის ჯარებმა, არამედ საბჭოთა არმიამ გაანადგურა ფაშისტური კოალიციის ძირითადი სამხედრო ძალები, სწორედ სსრ კავშირმა შეიტანა გადამწყვეტი წვლილი გამარჯვების მოპოვებაში, ნაცისტთა მონობისაგან ევროპის ხალხების განთავისუფლებაში, ცივილიზაციის ხსნაში.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის დამარცხების მიზეზები. თანაც ამის შესახებ წერენ ისეთი მიკერძოებით, თითქოს საბჭოთა ქვეყანა კი არა, ფაშისტები ყოფილიყვნენ მათი მოკავშირეები.

ზოგიერთი რეაქციული ისტორიკოსი ვერმახტის დამარცხების მიზეზებს იმაში ხედავს, რომ საბჭოთა მთავარსარდლობა, კერძოდ ი. ბ. სტალინი და გ. კ. ჟუკოვი, თითქოს „უმოწყალოდ ფლანგავდნენ ადამიანთა რესურსებს“. ამ საზიზღარი ცილისწამების ავტორების (გ. სოლსბერი, ო. ჩეინი და სხვა), მიზანია დაამცირონ საბჭოთა სამხედრო ხელოვნება, დაუმალონ მსოფლიო საზოგადოებრიობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფაშისტების მიერ ჩადენილი მხეცობის ნამდვილი მასშტაბები, ის ფაქტი, რომ ომში დაღუპულ საბჭოთა მოქალაქეთა ნახევარზე მეტი მშვიდობიან მოსახლეობაზე მოდის.

ომის შედეგებისა და გაკვეთილების შესწავლის, მათი ობიექტური შეფასების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების შინაარსის სწორი გაგება. ამ საკითხშიც დიდად ირჯებიან ჩვენი მოძულეები.

ფალსიფიკატორები ამტკიცებენ, რომ მეორე მსოფლიო ომი ხელსაყრელი იყო მარტო სსრ კავშირისათვის, დასავლეთისათვის კი — კატასტროფული. ჩვენს ქვეყანას ადანაშაულებენ „აგრესიულ ზრახვებში“, იმაში რომ, მან თითქოს მოახდინა გერმანიის ნაწილის ანექსია და დაამყარა თავისი ბატონობა ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსვლეთ ევროპაში. „საბჭოთა რუსეთის შემოსევა ცენტრალურ ევროპაში წარმოადგენს ჩვენი ასწლეულის ისტორიულ კატასტროფას“ — წერს ვინმე შტრაუსი (გფრ). კიდევ უფრო შორს შეტოპა ინგლისელმა ჩ. უილმოტმა, რომელიც გულღვარძლიანად აცხადებს: „კომუნისტური რუსეთი გახდა ნაცისტური გერმანიის მემკვიდრე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“.

ისტორიის ფალსიფიკატორები გაავთრებით ესხმიან თავს იალტისა და განსაკუთრებით პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც დაამკვიდრეს დასავლეთისათვის „არახელსაყრელი“ ომის შედეგები. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წ. ივნისის პლენუმი მოითხოვს პარტიული კომიტეტებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან, საჭიროა ანტისაბჭოურისა და ანტიკომუნიზმის აქტიური უკუგდება, კონტრპროპაგანდის კარგად მოფიქრებული ერთიანი, დინამიკური და ეფექტიანი სისტემა. საბჭოთა ისტორიკოსებისა და პროპაგანდისტების ვალია დაულალავი ბრძოლა აწარმოონ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, ულმობლად ამხილონ ისინი, ვინც ბურჟუაზიის ინტერესებისათვის შეგნებულად და უხეშად ამახინჯებს კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მოვლენის ძირითად პრობლემებს, ცდილობს დააკნინოს ფაშისტურ აგრესორებზე საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული დიადი გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

**ჯ. გამახარია,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 18.**




Это было сорок четыре года назад. На Великую Отечественную войну провожал Марнеули своих сыновей. И среди них студента Камала Гасанова. Тяжелые фронтовые дороги стали для молодого бойца школой мужества. Он не совершал громких подвигов, он просто воевал. Эта фронтовая жизнь — не день, не месяц, а годы рядового труженика войны — сама по себе есть подвиг.

# ДВА ФРОНТА

Камал Надирович Гасанов рассказывает о себе скупо. Воевал, дважды был ранен, имеет боевые награды.

— Ну и что же, воевали все, вся страна, — говорит Камал Гасанов.

Отгремела война. Люди возвращались к мирной жизни. Радостно и сердечно встретил родной Марнеули земляка - фронтовика, который сменил винтовку на журналистское перо и стал работать в районной газете «Сталин Елу». Но через два года Камал Надирович снова надел погоны — на сей раз погоны сотрудника органов внутренних дел.

Двадцать шесть лет службы в милиции, из которых около половины на должности заместителя начальника Марнеульского РОВД, — это тоже своеобразный фронт в дни мира и труда, фронт борьбы за всемерное укрепление в районе социалистической законности и правопорядка.



**НА СНИМКЕ:** Камал Надирович Гасанов.

За умелое проведение оперативно - розыскных мероприятий по раскрытию особо опасных преступлений, предотвращению правонарушений он не раз поощрялся приказами министра внутренних дел республики.

Вот уже несколько лет Камал Надирович Гасанов находится на заслуженном отдыхе. Но сердце ветерана не ищет покоя. Камал Надирович работает начальником юридической группы Марнеульского агропромышленного объединения. Он полон сил, энергии, желания быть нужным и полезным людям.

**А. ПОЛЯКОВ,**
**заместитель начальника Марнеульского РОВД по политчасти, капитан милиции.**

# ТЕПЛАЯ ВСТРЕЧА

Недавно Сигнахский РОВД провел тематическую встречу, посвященную 40-летию Победы советского народа в Великой Отечественной войне. На встречу были приглашены сотрудники райотдела внутренних дел, которые в суровые годы войны с оружием в руках сражались с немецко-фашистскими захватчиками.

Перед присутствующими выступили председатель Совета ветеранов Сигнахского района подполковник в отставке В. Каджришвили, начальник Сигнахского РОВД капитан милиции Х. Мчедлишвили, ветераны войны Д. Джикашвили, Н. Джигиташвили, З. Джаникашвили.

В торжественной обстановке был открыт мемориал погибшим сотрудникам.

После окончания встречи ветераны войны посетили районный музей, где были выставлены работы молодого художника В. Мосулишвили.

В честь фронтовиков вокально - инструментальный ансамбль «Маиси» при Доме культуры имени Ф. Э. Дзержинского МВД ГССР дал концерт.

**В. КАТАМАДЗЕ,**
**заместитель начальника Сигнахского РОВД по политчасти, старший лейтенант милиции.**



# დანაშაულს ფარდა აეხადა

მიმდინარე წლის 7 აპრილს, კვირა დღეს, ქობულეთის რაიონის ხუცუბანში კოლმეურნეობის მე-7 ბრიგადის ჩაის პლანტაციაში შემთხვევის ადგილზე გასული ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფი შემზარავი სურათის მხილველი აღმოჩნდა. პლანტაციაში ჩაის ფარდულის უკან, მოფარებულ, ოდნავ ჩაღრმავებულ ადგილზე ეყარა დამწვარი გვამები, რაც ძაღლსა და ტურას კიდევ დაესახიჩრებინა და წაეხდინა. ამოცნობა შეუძლებელი იყო. აქ მისულ გამოცდილ მუშაკებს ათასი კითხვა უტრიალებდათ, მაგრამ კონკრეტულად ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. ერთი რამ იყო ცხადი, საქმე მეტად მძიმე დანაშაულს ეხებოდა, რომლის დეტალებსაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა გაარკვევდა.

სახელდახელოდ შეიქმნა ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფი. მის შემადგენლობაში შევიდნენ ქობულეთის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი თ. ნიჟარაძე, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან მებრძოლი ქვეგანყოფილების მუშაკები მილიციის პოდპოლკოვნიკი ა. ზოიძე, მილიციის მაიორი ი. ცხაკაია, მილიციის ლეიტენანტი შ. ჯიბლაძე, ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი მ. ცინცაძე, ოპერრწმუნებულები: მილიციის უფროსი ლეიტენანტი ო. ზაქაიძე და მილიციის ლეიტენანტი მ. ცეცხლაძე. ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, მილიციის პოლკოვნიკ მ. თარგამაძეს.

პირველი დავალება, რაც ჯგუფის წევრებმა მიიღეს იყო— გვამების ვინაობის დადგენა. — ამ მძიმე დანაშაულის გახსნა და დამნაშავის მხილება ჩვენი ავტორიტეტისა და პროფესიული ღირსების საქმეა, — ჯგუფის ხელმძღვანელის ეს სიტყვები საერთო აზრს გამოხატავდნენ.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებისაგან მიღებული პირველი ცნობები მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. ერთ გვამს გულმკერდის არეში აღმოაჩნდა გამჭოლად გამავალი ჭრილობის კვალი, ხოლო მეორეს თავში ჩარჩენილი ჰქონდა ტყვია.

მეორე დღეს დადგინდა მოკლულთა ვინაობა, ერთი მათგანი აღმოჩნდა ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს მკვიდრი, ადრე ყაჩაღობისათვის ნასამართლები ო. ვერულიძე, მეორე კი ქობულეთიდან ქ. ნოვოჩერკასკში გადასული რ. გორგილაძე, — თანამზრახველები და არაერთ საეჭვო საქმეებში შემჩნეულები.

ამ დღეს ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფს შეუერთდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს გამოცდილი მუშაკები, სამმართველოს უფროსის მოადგილის ტ. ვარდანაშვილის ხელმძღვანელობით.

მოკლულთა ვინაობის დადგენამ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასახული ვერსიების წრე შეავიწროვა. ოპერატიული ჯგუფი შეიკრიბა, რათა განსაზღვრულიყო რა მიმართულებით გაგრძელებულიყო მუშაობა. ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ოპერატიულ მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბევრი საინტერესო ცნობა გააჩნდათ დაზარალებულთა საქმიანობისა და მათი ნაცნობთა წრის შესახებ.

ნაცნობ-მეგობართა წრის შესწავლა-დამუშავებას უმოკლეს ვადაში შეიძლება კონკრეტულად რაიმე სიცხადე შეეტანა ბურუსით მოცულ დანაშაულში. მეორე ღამეც თეთრად გაათენეს საქმით გართულმა მუშაკებმა. წვეთ-წვეთობით გროვდებოდა ახალ-ახალი ინფორმაციები, რომელსაც თანდათანობით მიყავდა მილიციის მუშაკები დასახული მიზნისაკენ, და როდესაც გამთენიისას სახლიდან სოფელ ხუცუბნის მცხოვრები ა. მესხიძე ქობულეთის შინაგან საქმეთა განყოფილებაში წაიყვანეს, არამტკიცე, მაგრამ გარკვეულ საფუძველზე დამკვიდრებული ეჭვები არსებობდა მის დანაშაულში მონაწილეობაზე. ხელისმოსაკიდი მტკიცებანი ძალიან ცოტა იყო, რაც საერთო მეცადინეობით თანდათან მრავლდებოდა.

დასახული ვერსიის სისწორეს, პროფესიულ ალღოსა და ინტუიციას თავისი გაჰქონდა. ა. მესხიძის ირგვლივ რკალი ვიწროვდებოდა. დღეღამის განმავლობაში მის მიმართ შეგროვებული იქნა მტკიცებანი, რომელმაც აიძულა ეღიარებინა ჩადენილი დანაშაული, დაესახელებინა თანამონაწილე — სოფელ ხუცუბნის მცხოვრები ჯ. ართმელაძე. ამოღებული იქნა დანაშაულის განხორციელების საშუალება, „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი.

აღმოჩნდა, რომ ა. მესხიძემ და ჯ. ართმელაძემ დანაშაული ჩაიდინეს 4 აპრილს სოფელ ხუცუბანში, ამ უკანასკნელის სახლში და კვალის დაფარვის მიზნით 5 აპრილს დილის 04.00 საათზე გაიტანეს მსუბუქი ავტომანქანით გვამები ჩაის პლანტაციაში და დაწვეს.

დანაშაულს ფარდა აეხადა. ვალმოხდილის გრძნობით ტოვებდნენ უძილობით დაქანცული და დაღლილი მუშაკები ქობულეთის შინაგან საქმეთა განყოფილებას. მანამდე კი აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, მილიციის გენერალ-მაიორმა ჯ. მიქელაძემ პირადად მიულოცა გამარჯვება ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფს და განყოფილების თანამშრომლებს გულითადი მადლობა გადაუხადა ჩატარებული მუშაობისათვის.

**შ. ჯიბლაძე,**

**აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი.**

# „წიგნი მარადიული ხსოვნისა“

ამ წიგნს ანალოგი არა აქვს. მასში შედის მხოლოდ სახელები მაგრამ აქ შეტანილი თითოეული სახელის მიღმაა ომის ქარცეცხლში მიმქრალი სიცოცხლე, ხოლო ერთად აღებული ეს სახელები ხალხის ერთიანი ბედი, წიგნში დასახელებული ადამიანების მიერ ნაჩუქარი ჩვენი საერთო სიცოცხლეა.

„წიგნი მარადიული ხსოვნისა“, რომელშიც შეტანილია ყველა, ვინც დაიღუპა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა, გარდაიცვალა ჭრილობებისაგან დიდი სამამულო ომის წლებში, გამოუშვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ. მის პირველ ტომშია ბრძოლაში დაღუპული ოცდასამი ათასი თბილისელის — რესპუბლიკის დედაქალაქში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების სახელები.

ამ წიგნის მომზადებისას უდიდესი მუშაობა, რომელსაც აგრეთვე არა აქვს, ანალოგი, გასწიეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის, ხალხთა მეგობრობის მუზეუმისა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რომლებმაც შეადგინეს და დააზუსტეს ამ წიგნის ფურცლებზე უკვდავყოფილი სიები.



# В ЧЕСТЬ ВЫДАЮЩИХСЯ ПОЛКОВОДЦЕВ

Шел 1942 год. В донских и приволжских степях начиналось одно из величайших сражений Великой Отечественной войны — Сталинградская битва. Война требовала от военачальников и командиров искусного сочетания наступательной и оборонительной тактики, высокого умения управлять войсками, инициативного и решительного выбора направления главного удара для победы над противником.

29 июля 1942 года Президиум Верховного Совета СССР учредил новые ордена, носящие имена выдающихся русских полководцев — Суворова, Кутузова и Александра Невского. Их статуты нацеливали командный состав наших войск на проведение активных наступательных и оборонительных боев, на достижение победы над врагом. В самом названии орденов звучал страстный призыв умножать славу русского оружия, проявлять образцы воинской доблести. Ордена Суворова и Кутузова состоят из трех степеней (орден Кутузова III степени учрежден Указом от 8 февраля 1943 года). Высшей является I степень. Орден Александра Невского не имеет степеней.

Орденом Суворова награждались командиры Красной Армии за выдающиеся успехи в деле управления войсками, отличную организацию боевых операций и проявленные при этом решительность и настойчивость в их проведении, в результате чего была достигнута победа в боях за Родину в Великой Отечественной войне.

Награждение командиров орденом Кутузова производилось за хорошо разработанный и проведенный план операции — фронтовой, армейской или отдельного соединения, в результате чего противнику нанесено тяжелое поражение, а наши войска сохранили свою боеспособность.

Орденами Суворова и Кутузова отмечались командиры — от командующего фронтом до командира роты — за успешное проведение боевой операции.

Орденом Александра Невского награждались командиры Красной Армии, проявившие в боях за Родину в Великой Отечественной войне, личную отвагу, мужество и храбрость и умелым командованием обеспечившие успешные действия своих частей.

Первое награждение орденом Суворова состоялось 26 декабря 1942 г. Президиум Верховного Совета СССР наградил орденом Суворова II степени генерал-лейтенанта танковых войск В. М. Баданова. Несколько позднее орденом Суворова II степени был награжден генерал-лейтенант танковых войск П. А. Ротмистров. Прославленные военачальники получали эти ордена за руководство смелыми, глубокими рейдами гвардейцев — танкистов по тылам врага, обеспечившими успешное наступление соединений Красной Армии.

28 января 1943 года 23 замечательных полководца стали первыми кавалерами ордена Суворова I степени. Среди них — представители Ставки Верховного Главнокомандования Г. К. Жуков, А. М. Василевский, Н. Н. Воронов, командующие фронтами Н. Ф. Ватутин, Л. А. Говоров, Г. И. Голиков, А. И. Еременко, Р. Я. Малиновский, К. А. Мерецков, К. К. Рокоссовский, командующие армиями П. И. Батов, Д. Д. Лелюшенко, П. С. Рыбалко, Ф. И. Толбухин, В. И. Чуйков и другие.

Командиры частей и подразделений, сражавшихся под Сталинградом, были первыми среди награжденных орденом Александра Невского.

5 ноября 1942 года Президиум Верховного Совета СССР наградил этим орденом И. Н. Рубана и С. П. Цыбулина.

Старший лейтенант И. Н. Рубан искусно руководя боем батальона, успешно провел операцию по прикрытию форсирования Дона, отразил все атаки противника, разгромил вражеский полк, усиленный группой танков.

Под командованием капитана С. П. Цыбулина батальон в течение нескольких дней успешно вел непрерывные, напряженные бои под Сталинградом, отразил несколько атак противника, нанес ему большие потери.

Знамена многих воинских частей и соединений, отличившихся в боях с немецко-фашистскими захватчиками, украшают ордена Суворова, Кутузова и Александра Невского.

# *ПАМЯТЬ В ВЕКАХ*

**Ты помнишь, товарищ,**
**Тондзе плакат.**
**В то грозное время Отчизны,**
**Где Родина-Мать**
**Призывала солдат**
**Сражаться за счастье**
**Отчизны!**

**Ничто не забыто,**
**Никто не забыт.**
**Не знали тогда,**
**Что навеки,**
**В гранит и в металл**
**Воплотятся в века**
**Отчизны погибшие дети.**

**И слава о них**
**Не померкнет в сердцах.**
**Народ свято чтит**

**Их в легендах.**
**Солдата с мечом**
**И с ребенком в руках**
**Венчает цветами Европа!**

**А Вам, дорогим,**
**Что остались в живых,**
**Поклон Вам земной**
**От народа,**
**Ведь юность свою**
**Вы в сраженьях прошли**
**По трудным военным**
**дорогам!**

**И сорок затем**
**Трудовых долгих лет**
**На равных трудились**
**Со всеми.**
**Всегда впереди,**

**Как и раньше в бою.**
**Вы Мир сохранили**
**планете!**

**Пусть славится день,**
**Что рассеял грозу,**
**Принес со слезами**
**Нам радость,**
**Чтоб дети твои**
**Не видали тех бед,**
**Что видели их в**
**Ленинграде.**

**Чтоб мать не боялась**
**Растить сыновей**
**На благо и радость Отчизне.**
**Пусть каждый памятен,**
**Кому и за что,**
**Он этому счастью обязан!**

**Эдуард МЕЖЛУМЯН,**
**ветеран Вооруженных Сил СССР, ветеран труда.**

# САЛЬВАДОР: НАРОД ПРОТИВ ДИКТАТУРЫ

По сообщениям из Сальвадора, бойцы Фронта национального освобождения имени Фарабундо Марти (ФНО) в последние дни нанесли ряд мощных ударов по войскам проамериканского марионеточного режима Дуарте. Патриоты осуществляют также дерзкие нападения в различных департаментах и муниципиях страны на ряд местных органов власти.

В борьбе против проамериканской диктатуры вовлекаются самые широкие слои населения.



НА СНИМКАХ: партизанская мать; жертвы сальвадорского режима.

ФОТОХРОНИКА ТАСС.



ИЗ ПОЧТЫ «МГБС»

## МОЯ МИЛИЦИЯ МЕНЯ БЕРЕЖЕТ

Долгое время я находился на дипломатической службе. Являюсь заслуженным инженером и рационализатором. У меня имеется участок в Сагурамо. Мне часто приходится ездить по этой трассе, которую обслуживает госавтоинспектор Мцхетского РОВД Роберт Ростиашвили. Он обходительный, культурный и корректный человек. Проезжих встречает спокойно, дружественно и тактично.

Прошу через вашу газету передать Роберту Ростиашвили огромное спасибо. Он высоко несет честь работника милиции.

**В. ЧАЧАНИДЗЕ.**
ветеран войны и труда.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 06165